# საქართველო
# GEORGIA

შპს „იმერ-აუდიტი“

ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №11

☎ 599-98-89-18;

„IMER-AUDITI“ LTD

№11, Javakhishvili str, Kutaisi

☎ 599-98-89-18;


## კონსულტაციის აქტი №03-04

1. შედგენის თარიღი: 21 აპრილი  2017 წელი
2. შედგენის ადგილი: ტყიბულის გორგიძის ქ. №10
3. შემდგენი აუდიტორი: თენგიზ უგლავა (სერთიფიკატი ბაფ №403)
4. კონსულტაცია შესრულებულია: სსიპ ქალაქ ტყიბულის №4 საჯარო სკოლის (ს/კ 219634741) დირექტორის მაკა გაბელაშვილის მოთხოვნით და მონაწილეობით.
5. კონსულტაციის მიზანი: მე-4 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ქონების ნაწილის ფაქტიური-ფიზიკური მდგომარეობისა და სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა.
6. საკონსულტაციოდ წარმოდგენილია: სკოლის სარგებლობაში არსებული სახელოსნო.
7. წარმოდგენილი ქონების ვიზუალური დათვალიერებით დავადგინე: სახელოსნოს შენობა მდებარეობს ქ. ტყიბულში გორგიძის ქ. №10. საძირკველი: ყორე ქვა, ბეტონი, კედლები: აგური წითელი. სახურავი: რკინა-ბეტონის ღრუტანიანი გადახურვის ფილა. იატაკი: ბეტონი. მისი საერთო ფართია 296 კვ.მ. შენობა არის ერთსართულიანი, გააჩნია სარდაფი 98 კვ.მ., როგოროც ზემოთ იქნა აღნიშნული, შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, გადახურულია რკინა-ბეტონის ღრუტანიანი გადახურვის ფილებით, რომელთა 50% დაშლილია, ავარიულია, ამორტიზირებულია და თვითნებურად დაშლის შემთხვევაში ქმნის საშიშ მდგომარეობას, ამას ისიც ამძაფრებს, რომ შენობის დასავლეთი კედელი მთლიანად ჩამოშლილია ბუნებრივი ნალექებიდან, შიდა კედლების 50% ჩამოშლილია. შენობის სარდაფის კედლების დასავლეთ მხარეს საზღვარზე 15-20 მეტრის სიღრმეზე არის საკარმიდამო ეზო და დასადგენია რამდენად შესაძლებელია სარდაფის დაშლა, დემონტაჟი.
8. აუდიტის დასკვნა: ზემოთ წარმოდგენილი სსიპ ქალაქ ტყიბულის №4 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული სახელოსნოს შენობა მისი ფაქტიური ფიზიკური ცვეთის, შემდგომი გამოყენების აკრძალვის მიზნით ექვემდებარება დემონტაჟს. მისი სალიკვიდაციო ღირებულება, ვარგისი

საამშენებლო მასალებიდან გამომდინარე ჩვენი აზრის გათვალისწინებით შეადგენს :

**სამშენებლო მეორადი მასალების საბაზრო ფასი:**

ა) რკინა-ბეტონის გადახურვის ფილა ზომით (1.0X6.0)

45ცალიX150ლარი = 6750 ლარი

ბ) საამშენებლო წითელი აგური ჩვეულებრივი ზომის

30000ცალიX0.20თეთრი=6000ლარი

სულ სამშენებლო მასალების საბაზრო ფასი: 12750 (თორმეტიათას შეიდასრმოცდაათი) ლარს.

შენობის ლიკვიდაციაზე გასაწევი ხარჯები:

1) ვარგისი რკინა-ბეტონის აღება ავტოამწეთი და მისი დაწყობა ავტომობილებზე: 45ცალიX40ლარი=1800ლარი.
2) ვარგისი რკინა-ბეტონის ფილების აღება ავტოამწეთი და მისი დაწყობა ავტომობილზე – 25ცალიX40ლარი=1000ლარი.
3) რკინა ბეტონის ტრანსპორტირება – 45ცალიX20ლარი=900ლარი.
4) ვარგისი რკინა-ბეტონის ფილების ტრანსპორტირება – 25ცალიX20ლარი=500ლარი.
5) აგურის შენობის დაშლა და მისი დაწყობა ავტომანქანაზე: 3000ცალიX0.05თეთრი=1500ლარი.
6) აგურის ტრანსპორტირება – 3000ცალიX0.03თეთრი=900ლარი.
7) სამშენებლო მასალების მოგროვება და დატვირთვა ავტომობილზე 8კაციX90ლარი=780ლარი.
8) სამშენებლო მასალების ნარჩენების გატანა ავტომობილით: 5რეისიX100ლარი=500ლარი.

სულ სალიკვიდაციო ხარჯები – 7820 ლარი.

სულ საბოლოო სალიკვიდაციო ღირებულება განისაზღვრა

ა) გამყიდველის ხარჯით – 12750 ლარი.

ბ) მყიდველის ხარჯით + (12750ლარი-7820ლარი)=4930ლარი.

საფუძველი: 1) ხელშეკრულება №10 18.04.2017წ.

2) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №39.01.21.010

შენიშვნა:

ა) დემონტაჟის დროს მოხდეს ვარგისი საამშენებლო მასალების რაოდენობის და საბაზრო ფასის დაზუსტება

შპს „იმერ-აუდიტი"-ს

დირექტორ-აუდიტორი: /თ. უგლავა/